საკანონმდებლო სიახლეები

იანვარი - მარტი, 2023

შინაარსი

ცვლილებები საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში №996
გვერდი 1-2

მეთოდური მითითებები
გვერდი 2

ცვლილება „დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2021 წლის 17 მარტის №7536 ბრძანებაში
გვერდი 2

საჯარო გადაწყვეტილებები
გვერდი 2

სალომე ოდიშარია
საგადასახადო კონსულტანტი

T: +995 (599) 195 040
E: salome.odisharia@moore.ge

თეონა აზდუშელიშვილი
პარტნიორი

T: +995 (558) 506 006
E: theona.abdushelishvili@moore.ge

MOORE
T: +995 (322) 000 123
E: info@moore.ge
მისამართი: მარჯანიშვილის ქ N6, მწვანე შენობა, 0102, თბილისი, საქართველო

ცვლილებები საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში №996

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის ბრძანებაში №996, რომელიც გადასახადების ადმინისტრირებას შეეხება, შევიდა შემდეგი სახის ცვლილებები:

- 2023 წლის 24 იანვარს განხორციელებული ცვლილების თანახმად, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებულ დამატებული ღირებულების გადასახდის დეკლარაციის (დანართი №III-25) „ა“ დანართს დაემატა IV ნაწილი „დღგ-ით დასაბეგრი თანხა ტურისტული საწარმოს სტატუსის გაუქმებისას“. აღნიშნული ფორმის შევსების ვალდებულება წარმოეშობა ტურისტული საწარმოს სტატუსის მქონე საწარმოებს, სტატუსის ამოწურვის ან ვადაზე ადრე გაუქმების შემთხვევაში. საყურადღებოა, რომ „ა“ დანართის IV ნაწილი „დღგ-ით დასაბეგრი თანხა ტურისტული საწარმოს სტატუსის გაუქმებისას“ ხელმისაწვდომია მხოლოდ ტურისტული საწარმოს სტატუსის მქონე იურიდიული პირთათვის.

- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 28 მარტის №108 ბრძანებით შეტანილია ცვლილება „გადასახდების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში. კერძოდ, დანართი № II-06-ის („გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაცია“) III ნაწილის 67, 68 და 69 გრაფები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით :

    - ჰ5) 67-ე უჯრაში – ნაღდი ფულის ნაშთი საანგარიშო თვის ბოლოსთვის, გარდა ამავე პუნქტის „ჰ6“ ქვეპუნქტში მითითებული თანხისა;
    - ჰ6) 68-ე უჯრაში – ანგარიშვალდებული პირების მიერ გადასახადის გადამხდელთა საბანკო ანგარიშ(ებ)ზე ან/და სალაროში დაუბრუნებელი თანხები საანგარიშო თვის ბოლოსთვის;
    - ჰ7) 69-ე უჯრაში – 68-ე უჯრაში გათვალისწინებულ ანგარიშვალდებულ პირთა რაოდენობა.“

    განხორციელებული ცვლილებით, გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის 67-ე უჯრაში აისახება ნაღდი ფულის ნაშთი საანგარიშო თვის ბოლოსთვის, რაშიც იგულისხმება შენახვის ნებისმიერ ადგილას არსებული ნაღდი ფულის ნაშთი, გარდა დეკლარაციის 68-ე უჯრაში მითითებული ინფორმაციისა, რომელშიც აისახება ანგარიშვალდებულ პირთა მიერ გადასახადის გადამხდელთა საბანკო ანგარიშ(ებ)ზე ან/და სალაროში დაუბრუნებელი თანხები საანგარიშო თვის ბოლოსთვის, ხოლო 69-ე უჯრაში აისახება 68-ე უჯრაში გათვალისწინებულ ანგარიშვალდებულ პირთა რაოდენობა.

    გასათვალისწინებელია, რომ გადასახადის გადამხდელთა მიერ აღნიშნული უჯრების შევსება სავალდებულოა.

შეგახსენებთ, რომ ცვლილებამდე 68-ე უჯრაში იწერებოდა თვის ჭრილში კომპანიის ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული თანხები ჯამურად, ანუ დებეტური ბრუნვა.

- 2023 წლის 16 იანვარს ცვლილება გამოქვეყნდა და ძალაში შევიდა ფინანსთა მინისტრის N996 ბრძანებაში, ხოლოდ ინსტრუქციას მე-7 მუხლის შემდგომ დაემატა ახალი 71-ე მუხლი, რომლითაც განისაზღვრა წესი, თუ როგორ უნდა განხორციელდეს საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელად აღრიცხული პირის საგადასახადო აღრიცხვის გაუქმება, რაც გულისხმობს შემოსავლების სამსახურის გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემაში შესაბამისი სტატუსის დაფიქსირებას.

  საგადასახადო ორგანო, შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, იღებს გადაწყვეტილებას, საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელად აღრიცხვას დაქვემდებარებულ პირთათვის საგადასახადო აღრიცხვის გაუქმების თაობაზე, რის შესახებაც ინფორმაცია ქვეყნდება შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, გადასახადის გადამხდელთა რეესტრში.

  აღნიშნულ პირთა საგადასახადო აღრიცხვა უქმდება, საქმიანობის შეწყვეტასთან დაკავშირებით, საგადასახადო ორგანოში შესაბამისი დოკუმენტის წარდგენიდან 1 თვის ვადაში, ხოლო საგადასახადო შემოწმების ჩატარების შემთხვევაში, საგადასახადო შემოწმების დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვისა, თუ არ არსებობს ამავე მუხლით გათვალისწინებული საგადასახადო აღრიცხვის გაუქმებაზე უარის თქმის საფუძველი.

მეთოდური მითითებები

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2022 წლის 29 დეკემბრის N33544 ბრძანებით დამტკიცდა მეთოდური მითითება „ვირტუალური ზონის პირის მოგების გადასახადით დაბეგვრის თაობაზე“, რომელიც განმარტავს პირისათვის ვირტუალური ზონის პირის სტატუსის მინიჭებასა და გაუქმებასთან დაკავშირებულ წესებს. ასევე, განსაზღვრავს ამ სტატუსის ფარგლებში საგადასახადო ვალდებულებებსა და უფლებებს.

ძალადაკარგულად გამოცხადდა „ვირტუალური ზონის პირის მოგების გადასახადით დაბეგვრის თაობაზე მეთოდური მითითების დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2022 წლის 25 მარტის N7547 ბრძანება.

ქვეყნის ფარგლებს გარეთ დაქირავებულის მივლინებისას, მივლინების სადღეღამისო და ბინის დაქირავების ხარჯების ნორმები კვლავინდებურად განისაზღვრება თანახმად დანართი №1-ისა, რომლებიც გაიანგარიშება მივლინებაში ფაქტობრივად ყოფნის დღეების მიხედვით, დასვენებისა და უქმე, აგრეთვე მივლინებაში გამგზავრებისა და მივლინებიდან დაბრუნების დღეების გამოურიცხავად.

ხოლო, მგზავრობის ხარჯები ანაზღაურდება შესაბამის მიმართულებაზე არსებული მგზავრობის ღირებულების გათვალისწინებით, მაგრამ არაუმეტეს ეკონომკლასის (ან მისი შესაბამისი კლასის) ბილეთის ღირებულებისა.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2022 წლის 29 დეკემბრის N33543 ბრძანებით დამტკიცდა მეთოდური მითითება „თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს შესახებ“, რომელიც აგრეთვე, ამ სტატუსის ფარგლებში საგადასახადო ვალდებულებებსა და უფლებებს.

დამტკიცდა <u>სიტუაციური სახელმძღვანელოები:</u>

- საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერა N1517
- სისტემურ-ელექტრონული სათამაშო ანგარიშიდან გატანილი თანხის დაბეგვრა N2432
- კაპიტალის შემცირება N2549
- კაპიტალის გაზრდა N2550
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის შეღავათი N 1430
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრის მიერ მიღებული ანაზღაურება N 2433
- საწარმოს მიერ წარმომადგენლობითი ხარჯის ფარგლებში გაწეული ხარჯები N2434
- კაპიტალში შეტანილ და გატანილ თანხებს შორის წარმოშობილი სხვაობის დაბეგვრა N 1008

ცვლილება „დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2021 წლის 17 მარტის №7536 ბრძანებაში

აღნიშნული ცვლილების შესაბამისად:

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2021 წლის 17 მარტის №7536 ბრძანებაში შეტანილია ცვლილება და ბრძანების №9 დანართის მე-2 ნაწილს დაემატა №6 მაგალითი, რომელიც არეგულირებს ლიზინგის საგნის მიმღები მხარის ჩანაცვლების შემთხვევაში საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრის საკითხს დღგ-ს ნაწილში.

საჯარო გადაწყვეტილებები

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 461 მუხლის შესაბამისად და საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელთა დაბეგვრის არსებული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, მიმდინარე წლის 28 მარტს მიღებულია ფინასთა სამინისტროს № 107 საჯარო გადაწყვეტილება ტურისტული მომსახურების დღგ-ით დაბეგვრის თაობაზე .

საჯარო გადაწყვეტილება განმარტავს:

ა) ტურისტული მომსახურების დღგ-ით დაბეგვრის საკითხს, ტურისტის საქართველოში ორგანიზებულად შემოყვანისას;

ბ) ტურისტული მომსახურების დღგ-ით დაბეგვრის საკითხს, ტურისტის საქართველოდან გაყვანისას;

MOORE

ჩვენ შესახებ

MOORE abc წარმოადგენს აუდიტორული და საკონსულტაციო ფირმების გლობალური ქსელის **"Moore Global Network Limited "-** ის წევრ კომპანიას. Moore Global - ი წარმოადგენს საბუღალტრო და ბიზნეს საკონსულტაციო კომპანიას რომელიც მსოფლიოს 114 ქვეყანაშია წარმოდგენილი. 2019 წლისათვის ქსელის საერთო შემოსავალმა შეადგინა 3.05 მილიარდი აშშ დოლარი.

>114	>260	>579	>30,809
ქვეყანაში	წევრი	ოფისი	თანამშრომელი

MOORE Abc არის ერთ-ერთ ლიდერი კომპანია ქვეყანაში, რომელიც 2008 წლიდან უწევს საბუღალტრო და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების, ქონების შეფასების, აუდიტსა და დაკავშირებულ პროფესიულ მომსახურებას მთელი საქართველოს მასშტაბით.

OUR SERVICES



www.moore-georgia.ge

MOORE

We believe the information contained herein to be correct at the time of going to press, but we cannot accept any responsibility for any loss occasioned to any person because of action or refraining from action as a result of any item herein. Printed and published by © Moore Global International Limited. Moore Global International Limited, a company incorporated in accordance with the laws of England, provides no audit or other professional services to clients. Such services are provided solely by member and correspondent firms of Moore Global International Limited in their respective geographic areas. Moore Global International Limited and its member firms are legally distinct and separate entities. They are not and nothing shall be construed to place these entities in the relationship of parents, subsidiaries, partners, joint ventures, or agents. No member firm of Moore Global International Limited has any authority (actual, apparent, implied, or otherwise) to obligate or bind Moore Global International Limited or any other Moore Global International Limited member or correspondent firm in any manner whatsoever.